პროექტი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო

2024 წლის ---- იანვარი
ქალაქი ბათუმი

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N

ქალაქ ბათუმში, რუსთაველის ქუჩა N10-ში მდებარე
სახლზე რამაზ სურმანიძის მემორიალური დაფის
განთავსების თაობაზე

„კულტურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და „მონუმენტური სახვითი ხელოვნების ძეგლის (ქანდაკების), ობელისკის, მემორიალური დაფისა და სხვა მემორიალური ობიექტის განთავსების წესის დამტკიცების შესახებ" თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2007 წლის 26 აპრილის №5-7 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-7 მუხლის, პირველი პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. რამაზ სურმანიძის ხსოვნის უკვდავსაყოფად ქალაქ ბათუმში, რუსთაველის ქუჩა N10-ში მდებარე საცხოვრებელ სახლზე განთავსდეს მემორიალური დაფა.
2. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ განკარგულების შესრულების მიზნით განახორციელოს შესაბამისი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ღონისძიებები.
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს **თავმჯდომარე**
რამაზ ჯინჭარაძე

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

პროექტის სახელწოდება და სათაური

„ქალაქ ბათუმში რუსთაველის ქუჩა N10-ში მდებარე სახლზე რამაზ სურმანიძის მემორიალური დფის განთავსების თაობაზე" ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის ძირითადი არსი:

ექიმი, მწერალი, საზოგადო მოღვაწე და პუბლიცისტი რამაზ სურმანიძე 87 წლის ასაკში გარდაიცვალა. გარდაცვალებამდე რამდენიმე კვირით ადრე იგი ბერად აღიკვეცა და ბერ-მონაზონი ანდრია ეწოდა.

იყო საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი, ხელი მოაწერა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტს, ასევე იყო აჭარის ჯანდაცვის მინისტრი, მეორე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი და ბათუმის საკრებულოს წევრი.

რამაზ სურმანიძე არაერთი ისტორიული, პუბლიცისტური და სამეცნიერო ნაშრომის ავტორია. მას ეკუთვნის წიგნი „1937 წლების ტრაგედია ბათუმში", სადაც 640 რეპრესირებული ადამიანის შესახებ ცნობები და ფოტო მასალა აქვს მოძიებული.

რამაზ სურმანიძე იყო საქართველოს და აჭარის დამსახურებული ექიმი, ღირსების ორდენოსანი, მინიჭებული ჰქონდა ტბელ აბუსერისძის, ილია ჭავჭავაძის და ზაქარია ჭიჭინაძის სახელობის პრემიები. იყო „საპატიო ბათუმელი" და „საპატიო შუახეველი".

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს ქ. ბათუმში, რუსთაველის ქ. N10-ში მდებარე საცხოვრებელ სახლზე განთავსდეს რამაზ სურმანიძის მემორიალური დფა.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

გავლენას ახდენს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.გ) პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება პროექტის მოქმედება:

წარმოდგენილ პროექტს კონკრეტული ფინანსური შედეგი გააჩნია.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულაქტებთან

პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულაქტებთან:

პროექტი მთლიანად შეესაბამება უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებს.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, სპეციალისტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის შემუშავებაში და მათი შეფასება პროექტის მიმართ (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

პროექტის შემუშავებაში ზემოაღნიშნული სუბიექტები არ მონაწილეობდნენ.

ე) პროექტის ავტორი:

საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისია.

ვ) პროექტის ინიციატორი:

აჭარის მამულთშვილთა საგვარეულო კავშირი.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

საკრებულოს განათლების, კულტურის,
ტურიზმისა და სპორტის საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე ივან
ცხოიძე